დამტკიცებულია „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორის მიერ

დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

რექტორის საბჭო

რექტორის საბჭო

თვითმართველი ადმინისტრაციული მართვის ორგანო, რომელშიც წარმოდგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების წევრები (პედაგოგი, სტუდენტი) და უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციული სტრუქტურების ხელმძღვანელები. რექორტორის საბჭოს ყავს მუდმივი და მოწვეული წევრები. საბჭოს თავმჯდომარეობს რექტორი, ხოლო საბჭოს მუდმივი წევრები არიან - პრორექტორები, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკის ხელმძღვენელი, საქმის წარმოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აკადემიური საზოგადოების 8 წევრი (მათგან 4 აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი და 4 სტუდენტი).

საბჭოს ყავს - რექტორის საბჭოს მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების წესის შესაბამისად სხდომების დაოქმებას, მათ აღრიცხვასა და მიღებული გადაწყვეტილების სათანადო დეპარტამენტებამდე დაყვანას.

საბჭოზე განსახილველი საკითხის შესაბამისად მოიწვევიან სხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები;

საბჭოს ასევე, შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი პირი სხდომაზე დასასწრებად, თუ ეს აუცილებელი იქნება საკითხის გასარკვევად. საბჭომ შეიძლება მოითხოვოს აკადემიური საზოგადოების ან ფაკულტეტის აკადემიური თვითმართველობის ორგანოს აზრი.

საბჭომ შეიძლება აირჩიოს დელეგატი ფაკულტეტის საბჭოს ან აკადემიური საბჭოს წევრად;

რექტორის საბჭოს უნდა ეცნობოს აკადემიური საბჭოს ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებები;

ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით რექტორის საბჭოს განსხვავებული პოზიციისა და მოსაზრებებს შორის კონფლიტის შემთხვევაში საბჭომ უნდა გადახედოს საკითხს დეკანთან ერთად;

საბჭომ შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი საკითხებისთვის რექტორის საბჭოს საგანგებო კომიტეტის შექმნის შესახებ;

საბჭო განიხილავს რექტორის ქვემდებარე შიდა რეგულაციებს, ბიუჯეტირების გეგმებს, სხვა დოკუმენტებს, ანგარიშებს და განცხადებებს; უნივერსიტეტის საორგანიზაციო ერთეულების ჩამოყალიბების საკითხებს, ამტკიცებს დეკანის მიერ წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშებს;